ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეატრი

საუოველ კვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1889 წელსა № 8 თებერვალი 26

გაზეთი ლირს: ერთის წლ. 5 მან., ნახევ. წლ. 3 მ., ცალკე №-15 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქციის კანტორაში. Тифлисъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება: თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ბებუოოვის სააგენტოში.

რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას.

გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს უნდა ჰქონდეს მოწერილი სახელი, გვარი და ადრესი დამწერისა.

„თეატრის“ რედაქციისაგან.

ჩვენის გაზეთის № 7 დაბეჭდილი **მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატორის** და **ხელმწიფა იმპერატრიცას** სურათები კარგად ვერ გამოვიდა. ამისათვის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სქელ ქაღალდზე გადაღებული **იგივე** სურათები.

ახალი ამბები.

ქვეყანა ამბობს და ჩვენცა ვსთქვით, რომ ბევრი ქუთათურებთაგანი „დანოსჩიკები“ არიანო. ამას არც ქუთათურები ჰყოფენ უარს, მაგრამ... მაგარიცის გახლავთ, რომ ქუთათურებს გაუგონიათ «დანოსჩიკობას» სახელი გაუტუდაო, მიუმართავთ თავისს «მწყემსი»-სათვის და უთქვამთ: ოქვენ მწყემსი ბრძანდებით—ჩვენ სამწესო; მწყემსმა უნდა იზრუნოს სამწესოსათვის, ამიტომ გთხოვთ დაგვისსნათ ქვეყნისაგან მოძულებულ სახელისაგან... და არა საქმი-

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანია. «მწყემსს» უარი ვერ უთქვამს და დაუბეჭდია მოწინავე წერილი (№ 3), ვითომდა პასუხად ჩვენის გაზეთისა, სადაც ამბობს, რომ თუმცა მართალია, ქუთათურები «დანოსჩიკები» არიან, მაგრამ დიდით პატარამდე-კი არაო: მე თვითონ ვიცნობ რამდენსამე პირს, რომლებიც თავის დღეში კაცის დაბეზღებას არ იკადრებენო!

სწორე მოგახსენოთ ჩვენ არ ვიცოდით, რომ ქუთაისში რამდენსამე კაცს ვიპოვნიდით ისეთს, რომლებსაც «დანოსჩიკობა» სამარცხვინო საქმედ მიეჩნდებოდათ!!?

* * *

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტი აპირებს საზოგადო ყრილობის დანიშვნას. როგორც გვატყობინებენ კომიტეტს შეუდგენია ვრცელი «მოხსენება» თავისს მოღვაწეობაზე. სხვათა შორის ამ მოხსენებაში თურმე არის აღნიშნული, თუ ორის სეზონის განმავლობაში რამდენი ახალი პიესა უთამაშნიათ და რავდენი ძველი, რავდენი ახალი აქტიორი გაუწურთვნიათ და რავდენი ძველისათვის უსწავლებიათ რა არის «не препятствуй ихъ ндраву», რავდენი შემოსავალი ყოფილა და რავდენი გასავალი და დასარჩენს მოგებას როგორ მოიხმარებენ. რადგანაც ეს ცნობები ბევრისათვის საინტერესოა—მოვიყვანთ შემოკლებით.

ორის სეზონის განმავლობაში კომიტეტს წარმოუდგენია თეატრში მოსიარულეთათვის—ასი პიესა. ამ ასში—99 ახალი ყოფილა (დატრიალდა ჯარა, ხანუმა, და სხვ.) და ერთიც... ახალი—«ისპანიელი აზნაური». ეს უკანასკნელი პიესა თუმცა გადმოთარგმნილია ქაჯურის ენით, მაგრამ კომიტეტს ისე მოსწონებია, რომ მთარგმნელისათვის დაუვალებია მომავალი სეზონისათვის კიდევ გადთარგმნოს რომელიმე პიესა ჩინურის ენიდამ ბაბილონურზე და, რასაკვირველია, იმ ასალის პიესით დაიწყებენ მომავალს სეზონს...

ამავ ორის სეზონის განმავლობაში ქართულის სტენისათვის კომიტეტს მეტად დიდი ნაკლი შეუმტნევია და ეს ნაკლი შეუვსია: რადგანაც ალექსი-მესხიშვილი მეტად უნიჭო, გამოუსადეგი აქტიორი ყოფილა (თურმე კარაპეტების როლებს ვერ თამაშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და)—გაუგზავნიათ ნიჟნი-ნოვგოროდში—რუსულ სცენაზე, და იმის მაგიერ აუფვანიათ ვეებერთელა ნიჭის პატრონი №, რომელსაც თურმე ყველანაირ როლებს ამღერებენ და ისიც მეტად ხელოვნურად თამაშობს... კარაპეტას, ლალოს, პეპოს, ტიმოთეს, თომას, გოჩას და სხვა და სხვ. მომავალს სეზონში ამ ასალ კარსკვლავს გამოიყვანენ ლირის, ჰამლეტის და რომეოს როლებში...

ამ უკანასკნელის სეზონის განმავლობაში წარმოდგენებიდამ შემოსულა სულ 1200 მ. 73 კ.; დასარჯულა 4.500 მ. 94½ კ. და მაჭასადამე ნაღდი დარჩენილა 000 მ.

ამ ნაღდით თურმე „ვოზდუშნი ზამოკი“ უნდა იყიდონ და, ის წევრები დრამატიულ საზოგადოებისა, რომლებიც ბულანდელ კრებაზე დაესწრებიან, შიგ დაბინავონ, სანამ „მილნი პუზიროსაც“ იყიდიან... რამწამ ამ უკანასკნელსაც შეისყიდიან (იმედია ესეც ჩქარა იქნება) — მთელ დრამატიულს საზოგადოებას ჩასომენ და გაისტუმრებენ თვალების ასახილებლად... ამის შემდეგ წევრებს მიანიჭებენ ნებას საწევრო ფულის მილებისას... თუ კი, რასაკვირველია, დარჩება რამე.

---

* * *

ავხედე მალლა ფრიალოს
მზე უხვადა ჭფენს სხივებსა,
ხან მალავს, ხან აბჯუვიალებს
ვით მარგალიტის მძივებსა.

—

ზედა ზის გაუმაძღარი
სვავი, იფერავს ბრჭყალებსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მის ტუვედ გამხდარს ფშვლის ნუკრსა
უწყალოდ სჩიჩქნის თვალებსა.

—

რად გწყურის სისხლი უმანკო,
სვავო, რას მოგაქვს სვავობა
რატომ არა გრწამს ცხოველი
ბუნების სხვა-და-სხვაობა?

—

განსავ შენც... გულში გწვეოდეს
ფინთიხი მძლავრი მტრისაო,
ოხრად გეკიდოს კისერი,
ფრთები დაგეშოს ძირსაო;

—

გეხვიოს ჭია და ღუა,
მატლი ბუდობდეს შენს ლეშში
და დაფოლებულს მაგ შენს ძვლებს
მგელ-ტურა ხრავდეს ღელეში.

ს—ძე.

ალსარებაზედ.

ფსიხოლოგიური აღწერა.
(თარგმანი რუსულიდამ).

ორმოცდა-ათი წლის განმავლობაში მამა ჩემი მღვდლად იყო. უმეტესი ნაწილი თავის სიცოცხლისა იგი მსახურობდა ქალაქ № ეკკლესიაში. თავის სანგრძლივი სამსახურით და მოვალეობისადმი დიდის სიმართლის მოშურობით მალე დიდი სახელი მოიხვეჭა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქალაქში. მეტადრე ბევრი მიდიოდა მამა ჩემთან აღსარების სათქმელად, რაც, რასაკვირველია, აიღსნება მის ზემოდ მოხსენებულ თვისებებით. ეხლა-კი ცოცხალი აღარ არის ეს პატივცემული, საუკარელი მოხუცი. ერთხელ ვარჩევდი ქალალდებს, რომელიც დარჩა მამი ჩემის სიკვდილის შემდეგ, და ვნახე მთელი კრებული ხელნაწერთა, რომელშიაც მოთხრობილია რამოდენიმე ეპიზოდი მის დიდი ხნის პრაქტიკიდამ სასულიერო ასპარეზზედ. რადგანაც ამ ხელნაწერთა საქვეყნოდ გამომულავნება შესაძლებელად ვსცანი, მით უფრო, რომ მათ პსიხოლოგიური ინტერესიც აქვთ, ამიტომ კალად ვრცხდი ჩემს თავს მიმეცა მათთვინ ცოტაოდენი ლიტერატურული შემუშავება, თუმცა ვსცდილობდი დედანს არ დავშორებულიყავ.

* * *

...ერთი მრეველთაგანი. მამაო, როგორც მოგეხსენებათ, მე უნდა ვეზიარო ორ წელიწადში ერთხელ; არ შეგიძლიანთ განმათავისუფლოთ ზიარებისაგან და ისე მომცეთ მოწმობა?

მღვდელი. ნუ თუ თქვენ დანაშაულად არ აღვიარებთ თქვენს თხოვნას; ნუ თუ თქვენ ეფიქრობთ, რომ ყველა ადამიანი თქვენისთანაა, რა-კი არავითარი რწმენა არ არის თქვენში? სცდებით, ძლიერ სცდებით, თუ სხვებში არა, ჩემში მაინც. მე ორმოცდათი წელი ვმსახურობ და არას დროს არ გამიუდია წმიდა საიდუმლო. წადით ჩემგან მშვიდობიანად და დეე უფალმა დაგაუნოთ უკეთესს გზაზედ.

მრეველთაგანი. ეხლა კი არ წავალ თქვენგან, მამაო, უნდა გაგიტუდეთ, რომ მე დიდი ხანი დავდივარ სხვა-და-სხვა ეკლესიებში ამ გვარ წინადადებით. მე ვეძებდი კაცს, რომლისათვის შემეძლო მეთქვა ყოველი ჩემი თავ-გადასავალი, კაცს, რომელიც თავის დიდ მოწოდებას არ ადარებს უბრალო მეწვრილმანობას. ეხლა-კი რასაც ვეძებდი, ვნახე. მე ვერ გიცნობთ თქვენ, ბედმა პირველად შეგვახვედრა ჩვენ აქ. თქვენი წყოვანება და თქვენი სამსახური მაიძულებენ ვიფიქრო, რომ მე არ ვსტუუდები. მე მინდა აღსარება ვსთქვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მინდა განვუზიარო ვისმეს ის, რაც ჩქენჯნის ჩემს გულს, ჩკლავს ნელ-ნელა, დღითი-დღე. მხოლოდ ნუ გაშანდობთ იგრე, როგორც ამას ითხოვს თქვენი მოვალეობა; ნუ მოიცემთ ცალკე კითხვებს; თქვენ წინდაწინ იცით, რას გიპასუხებთ ყოველი; არა, მე არ მინდა ამისთანა ალსარება. მე მოვედი თქვენთან, რათა ვუშველო თავს; მე მოვედი თქვენთან, როგორც მეგობართან, როგორც მამასთან. მე ვჩგრძნობ, რომ თქვენ ალმისრულებთ ამ თხოვნას. ესლა დამიგდეთ კარგად ყური. . შეიძლება თქვენ დაიხსნათ კაცი, რომელსაც შეუძლიან და ჩსურს მოუტანოს რაიმე სარგებლობა ქვეყანას.

ათი წლისა ვიყავი რომ ობლად დავრჩი. ჩვენ ვიყავით ხუთი ძმა; წლოვანებით მე მეოთხე ვიყავი. მესუთე ძმა მაშინ ხუთი წლისა იყო. ჩემმა მშობლებმა—მამა ჩემი დერეფანი იყო - ალალი შრომით შეიძინეს ქონება, რომელსაც შეეძლო დაეკმაყოფილებინა რაგორც ჩემი ძმები, ისე მე. ამ გვარად მე გაუჭირვებლად შემეძლო გამეტარებინა ის დრო, როდეს უმეტესად საჭირეებს ადამიანი სხვის ზრუნვაში. მე დაწვრილებით არ მოგითხრობთ თქვენ ჩემს ცხოვრებაზედ გიმნაზიაში და უნივერსიტეტში ყოფნის დროს. შეიძლება თქვენც გეკადეთ შვილები, შეიძლება ესლა კიდევ გახსოვდეთ ის სიჭაბუკე, ის ნეტარი დრო, რომელსაც ჩვენ ყველაფერი გვიტარებს, გვიყვარს თავისკენ, რომელსაც ყოველი გარეშე გავლენა ალიბეჭდება ჩვენს გულში, რომელსაც კაცი თანაგრძნობით ბასუხს აძლევს ყველას, რასაც კი შეუძლიან ალელვოს იგი, მე არ შემიძლიან ვსთქვა, რომ ამ მხრივ მე უბედური ვყოფილიყო. ჩემი უფროსი ძმა მაშინ მასწავლებლად იყო გიმნაზიაში. მამობრივ სიყვარულით ზრუნავდა იგი თავის უმცროსს ძმებზედ, რომელნიც ბედმა ადრე განაშორა დედას. ჩვენ ოჯახში—ჩვენ ყველა ერთად ვცხოვრობდით—მე მხოლოდ კეთილის და სიმართლის მაგალითებს ვხედავდი.

არ ვიცი ამ გავლენის გამო, თუ ბუნებურ მიდრეკილებათა წყალობით, ჩემი გონება და გრძნობა საშინლად მსწრაფლად ითარდებოდნენ. თუმცა მე კლასში უმცროსი ვიყავი, მაგრამ, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეესებოდა განვითარებას, არ ჩამოუვარდებოდი ჩემს უკეთესს ამხანაგებს. მიუხედავად ჩვენი წლოვანებისა და იმ ადგილისა, რომელიც ჩვენ მაშინ გვეჭირა საზოგადოებაში, ჩვენ ყველაფერს თვალს ვადევნებდით, რაც-კი ხდებოდა თანამედროვე ცხოვრებაში. ცხოვრება ერთ უგვანო უგუნურ რამეთ გვეჩვენებოდა. მარტო ჩვენ გიყავით მაითალნი, მხოლოდ ჩვენი აზრები იყო ჭეშმარიტი; მთელი ქვეყნის აშენებას ვაპირებდით ჩვენი შესედულობის თანასმად და კიდევაც ვგრძნობდით ამისთვის საკმარისს ძალას. ამ დროს მე მზად ვიყავ მთელი კატობრიობა გამომეწვია ბრძოლაზედ, გამომეწვია ყველა ის, რომლის წყალობით სხვა იტანჯება, განსაცდელში ვარდება... ერთი სიტყვით, როგორც მე, აგრეთვე ის წრე ჩემ ტოლთა, რომელსაც მე ვეკუთვნოდი, საშინელი იდეალისტები ვიყავით, თუმცა კი ჩვენს თავს რეალისტებად, დახელოვნებულ კაცებათ ვრაცხდით. ამ აზრებს ვატარებდი მე გიმნაზიაში ყოფნის დროს, მაგრამ არ შემიძლიან მაინც ჭმუნვარებით და მწუხარებით არ მოვიგონო ის დრო...

დაბადებით მე ვეკუთვნი იმ ნაწილს ხალხისას, რომელიც წოდებულია ბლებეიებად, რომელთაც ესლაც ახსოვთ ბედგრძელნი დღენი ბატონ-ყმობისა და ყოველი გაჭირვებისა, ამიტომ ვგრძნობდი, რომ მე ბევრი რამ მაქვს მასთან საერთო, თუმცა ეს გრძნობა ბოლოს საშინლად მაწვალებდა, ღრღნიდა მთელს ჩემს არსებას. მე ვიცოდი, მე ვგრძნობდი, რომ გაცილებით მაღლა ვიდექი ჩემს ამხანაგებზედ, რომელთაც ბედმა არგუნა ყოველნაირ სიმდიდრეში და განცხრომაში ცხოვრება, მაგრამ პირ-იქით ის ბედნიერი ეძაწვილნი დასტინოდნენ დერეფების შვილს, იმ კაცის შვილს, რომელიც ალალი შრომით ლუკმა პურს შოულობდა და რომელსაც, მათი აზრით, დერეფანს შიგნით არ შეესვლებოდა. როდესაც ვსედავდი, რომ ყველგან პირველი ადგილი ეჭირა სიმდიდრეს და გვარიშვილობას და არა ცოდნას და ჭეშმარიტებას, მე ყოველთვის მეკარგებოდა თავ-დაჭერილი გულგრილობა და არ ვიცოდა რა მეძართებოდა. მე აღვიზარდე ქრისტიანობის უმთავრესს მოძღვრების ქვეშ და ამიტომ ისე ძლიერ იყო ჩემში ჩანერგილი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარული მოყვასისადმი, რომ მე მასთვის მზად ვიყავ შემეწირა მთელი ჩემი ბედნიერება, ჩემი სიცოცხლე, ეს სიყვარული ბოლოს იქამდინ მივიდა რომ ვიტანჯებოდი, როდესაც პირუტყვთა ტანჯვას ვუცქერდი. როდესაც ვხედავდი, რომ წმინდა, ძვირფასს არსებას მასხარად იგდებდნენ, თვეს ქვეშ სთელავდენ, მაშინ საზარელი გხდებოდი, არ შემეძლო ამის ატანა. ამ დროს მშვიდი კრავის მაგიერ, როგორიც მე ვიყავი ბუნებით, დავემსგავსებოდი სოლმე გაბრაზებულს ვეფხვს.

(შემდეგი იქნება)

მკითხველთადმი.

„თეატრი“ს რედაქციამ მიიღო წერილი, რომელიც წარსულს ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ, რადგანაც ვერ მოესწრო, ვბეჭდავთ ამ №-ში. წერილის ავტორი, ბ. „უცნობი“, გვისამდურავებს, რომ შეურაცხყოფა მომაყენეთ და გთხოვთ სიმართლის აღსადგენათ, ეს წერილი დაბეჭდოთ.

შეურაცხყოფილმა მოჭმართა ჩვენს რედაქციას იმიტომ, რომ 1) თურმე, როგორც ზეპირად ვთქვით, ამ რედაქციას განძრახ, თუ თავისდა უნებურად მიუყენებია ამ პატივცემულის პირისათვის შეურაცხყოფა, შეუგინებია ავტორის თავმოყვარეობა, ხელი გაუწვდია (არა სახეირად) მის უფლებებისათვის და სხვ...და სხვ... და 2) თურმე „ივერიის“ რედაქცია არ დაუბეჭდავდა ამ წერილს... ჩვენ უადგილობის გამო არა გვსურდა დაბეჭდვა იმ წერილისა, მაგრამ რატომ „ივერია“ არ დაუბეჭდავდა—ეს კი ვერ გაგვიგია...

დარწმუნებულნი ვართ, რომ მკითხველი, რამწამ (რაწამს) მივიდა იმ სიტყვებამდე სადაც არის ნათქვამი; ჩვენს რედაქციას... შეურაცხყოფა მიუყენებიაო—იტაცა თმაში ხელი, შუბლი შეიჭმუხნა, ნესტოები გაიგანიერა და იფიქრა: რაღას უნდა მოველოდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვისაგან, როდესაც რედაქციებიც კი არ ერიდებიან კაცის შეურაცხყოფასაო. დიახ, ეს საზოგადოთ ასე გახლავთ, მაგრამ ზოგიერთები კი, რასაკვირველია უფრო ცხარის აგებულებისანი, აქ სულ სხვა ამბავს მოახდენენ: შემდეგის ორიოდე სიტყვის წაკითხვასაც კი აღარ მოიცდიან, გაბრაზებული გადაგდებენ გაზეთს, ჩქარის ნაბიჯით დაიწყებენ სიარულს (ასე,—ერთს წამში ასის გუთნის გაშლას მაინც გაიკლიან) და აღგვითქვამენ ელვა-ქუხილის მოკლინებას და მიწასთან გასწორებას...

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენს „ბატონებს (მკითხველებს) წინდაწინ მოჩივარი მართალი ეგონებათ", მაგრამ ყველა ამას შემდეგ ნომრამდის უყურადღებოთ ვტოვებთ, ეხლავე პასუხს არ გაძლევთ წერილის ავტორს, უყურადღებოთ ვტოვებთ იმიტომ კი არა, რომ ჩვენთვის სულ ერთი იყოს რასაც იფიქრებენ ჩვენზედ, რასაც იტყვიან, – არა. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენა გვსურს მკითხველმა ეხლავე დაიჯეროს „წინდაწინ მოჩივრის" მხარე,—ჩვენზე კი აიმრიზოს და, ამის შემდეგ, თუ შეგიძლებთ ისეთ საბუთების მოყვანას, რომლებიც ყველას დაარწმუნებენ, რომ ჩვენ არაფერში ვტყუვით ბ-ნ „უცნობის" წინაშე—მაშინ... ჩვენს თავს ბედნიერათ ჩავთვლით. დიდი მოსარული ვიქნებით, თუ არ დამტკიცდება, რომ „გველი გარედამ არის ჭრელი და, როგორც ამბობენ, ჩვენის მამათ მთავარის ადამის შვილი-კი შიგნიდამ".

ღმერთმა ბრძანოს, ბ-ნ «უცნობო», და შეგეწიენ თქვენი ლოღიკა, კალამი, გამჭრიახობა და... ერთის სიტყვით ყველაფერი, რომ წყლიდამ მშრალი გამოხვიდეთ...

ანთიმოზ გოგლიჩიძე.

წერილი რედაქციისადმი.

ბ. რედაქტორო! ჩემი უკანასკნელი წერილი შესახებ ქართულ დრამატიული დასისა ისე არ არის დაბეჭდილი, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც მე წარმოგიდგინეთ. მე, რასაკვირველია, სულაც არა ვარ წინააღმდეგი იმისი, რომ ყოველმა მართებულმა რედაქტორმა ყურადღებით გადაავლოს თვალი, რასაც კი თავის ორგანოში ჰბეჭდავს, შეასწოროს, უკეთესი ფერი მისცეს წერილს, შეცდომები ააცილოს. პირიქით, ჩემი აზრი ის არის, რომ რაც მომეტებულს მეცადინეობას და უნარს გამოიჩენს რედაქტორი ამ მხრივ, მით იგი უკეთესად ასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას, მით იგი უკეთესი, მოსაწონი და საქები რედაქტორია.

ამასთანავე თქვენ არ გესწავლებათ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ რედაქცია თავის დღეში არ დაიმცირებს თავსა და არ შეეხება მწერლის აზრის გადასხვაფერებას. არც ის გესწავლებათ, რომ როდესაც რედაქცია არ ეთანხმება მწერლის აზრს და მაინც ღირსად მიაჩნია მის წერილის დაბეჭდა, ამ შემთხვევაში იგი, რედაქცია, ან შენიშვნაში აცხადებს თვის უთანხმოებას, ან სრულებით ცალკე წერილს უძღვნის აღძრულ საგანს.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სრულებით სხვა ხასიათი მიგიციათ ჩემის უკანასკნელის წერილისათვის. იგი უმთავრესად შეეხებოდა საზოგადო საგანს და ჩემი აზრიც იყო მხოლოდ ზოგადი. მე ვლაპარაკობდი საზოგადოდ იმ პოლიტიკაზე, რომელსაც დაადგა დრამატიული კომიტეტი რეჟისორებითურთ აქტიორების მიმართ. მე კერძოდ არც ერთის რეჟისორის უვარგისობაზე კრინტიც არ დამიძრავს, მეტადრე არა მითქვამს რა ეხლანდელს რეჟისორზე. მე მტკიოდა მხოლოდ საზოგადო ტკივილი, რომელსაც ეშველება არა იმითი, რომ ეხლანდელი რეჟისორი წავიდეს ან გუშინდელი მოვიდეს, ან სულ სხვა დაინიშნოს; არამედ იმითი, რომ შეიცვალოს საზოგადო მიმართულება, რომელსაც დაადგა მთელი კომიტეტი თავის მოხელეებით.

ეხლა კი ჩემს წერილს ისეთი ხასიათი მიეცა, ვითომც მე რაიმე პიროვნება მქონდეს ეხლანდელ რეჟისორთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვცდილობდე ვავნო იმას ამორჩევებზე. რომ მაროლაც ასე იყოს, მე დიდს სიმდაბლედ მიმაჩნია პიროვნობით საქმის გატანა მეტადრე საზოგადო მოღვაწეობაში. თუ რამ წინააღმდეგი მექნებოდა ეხლანდელ რეჟისორისა, ცარიელ სიტყვებს კი არ დავხარჯავდი, უთუოდ ფაქტებს მოვიყვანდი. უფაქტებოდ ჩალის ფასი არა აქვს მოწუნ-დაწუნებას. ამით მხოლოდ აწყენინებ ადამიანს, ავნებ საქმეს და თვითონაც ივნებ—შენს ნაწერებს პიროვნულ ანგარიშებით ახსნიან და ეჭვითაც დაგიწყებენ ყურებას.

თუ გნებავთ შეიტყოთ ჩემი აზრი ეხლანდელ რეჟისორზე, უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ მომწონს მხოლოდ საზოგადო პოლიტიკა, კომიტეტისა, რომელზედაცა ვლაპარაკობდი. რაიცა შეეხება პირადად, მე ძალიან ვაფასებ მის მუყაითობას და ჩემის მხრივ დიდი მადლობელიცა ვარ ეხლანდელის რეჟისორისა.

ბოლოს, ძალიან მიკვირს, თუ თქვენ საკუთრივ ვაქვთ რაიმე უსიამოვნო ანგარიში ბ-ნ რეჟისორთან, რატომ თითონ თქვენის სახელით არ აცხადებთ და რათ მხვევთ მე ამისთანა საძაგელ საბაბში!

ვერ გამიგია, როგორ უნდა მოგსვლოდათ ასეთი შეცდომა. დიდათა ვსწუხვარ და მწყინს, რომ ჩემს საზოგადო წერილს ინებეთ და მიეცით სრულებით კერძო ხასიათი, გამოიყვანეთ პიროვნულობა, როდესაც მე ძალიან შორსა ვარ ამისთანა მდაბალ განზრახვებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი კეთილსინდისიერობა და პატიოსნება დაგეჩმარებათ, რომ ამიხსნათ ასეთი დასაწუნი განზრახვანი, დარწმუნებული ვარ, რომ მოიღებთ მოწყალებას და დამიჭდავთ ამ წერილს აღსადგენათ სიმართლისა, რომელიც ყველაზე ძვირფასია თქვენთვის და ჩემთვისაც.

თქვენი პატივისმცემელი

უცნობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრილიანტი.

ტრაგი-კომედია ორს მოქმედებად, თხზულება თ. რ. ერისთავისა.

მოქმედნი პირნი:

ბალდასარა ალმასოვი, ვაჭარი, 40 წლისა.
ქეკელუა, ამისი ცოლი, 22 წლისა.
დათიკა (იმერელი)—ამათი მოსამსახურე.
იოვანე ჭრაქოვიანცი, კეკელუას დედის ძმა. 40 წლისა.
მარია თავქროლაძისა, გასათხოვარი ქალი, 20 წლისა.
ვანო ცრუაძე, ამისი მოარშიყე, 27 წლისა.
ბრიგოლ ნეშტაროვი, ექიმი, 45 წლისა.
დათიკო გულჩვილაძე, მნახველი, 30 წლისა.
პოლიციის პრისტავი.
ორი დესეტნიკი.
ორი მსახური საგიჟე სამკურნალოსი.

მოქმედება თფილისშია; 1-ლი ალმასოვის სახლში და 2-რე გიჟების სამკურნალოში.

მოქმედება 1-ლი.

სცენა წარმოადგენს ბალდასარა ალმასოვის სასტუმრო სახლს, ღარიბათ მორთულს; ცოტა მებელით და ცალ მხარე ტახტით, რომელზედაც ჰფენია: ჯერ ფარდაგი, მერმე გძელი, ვიწრო ლეიბი და ზედ ძველი მუთაქა ძევს.—ორი კარი მოჩანს, ერთი პირდაპირ და მეორე მარჯვნივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა 1.

ბალდასარა მარტო.

ბალდასარა. (ზის ტახტზედ და „ივერიას“ ჩასცქერის) მახლას! ეველაფერს იღბალი უნდა... გაზეთშიაც გამოვაცხადე, მაგრამ, მაინც არავინა ჩანს... ვა! ამისთანა ხათაც იქნება?.. კაცს ძვირფასი ბრილიანტი ჰქონდეს და ლამის შიმშილით კვდებოდეს?.. ბრილიანტი ჰქონდეს და ვერ გაყიდოს?.. ალბათ ფული უფრო ძვირი ეოფილა ბრილიანტზედ?.. რა მითიალი დრო შაიქმნა-და... თუ ალარ კითხულობენ ამ ოხერს გაზეთს?.. მაშ დასაბეჭდი ფული რალათ დავსარჯე?.. ალბუს სამი მანეთი და ხუთ შაურ ნასეკარი... სამ დღეს იოლას წამიღებდა... მერე ისიც დალაქ გეუას ვესესხე (ადგება და დადის) ან კი ვინ შამოვა აქა?.. რასა ჰგავს აქაურობა?.. დაუგველი, დაულაგებელი!.. (ბიჭს უძახის) ბიჭო!.. ბიჭო!.. დათიკავ!...

გამოსვლა 2.

ბალდასარა და დათიკა.

დათიკა. (შემოვა და ბალდასარას). რას მიბძანებთ, ალავ?..

ბალდასარა. შე ეურუმსალო, რალა უნდა გიბრძანო?.. ვერა ჰხედავ, რომ აქაურობა დაუგველია, ესბის დუქანივით?..

დათიკა. (იქით). ესბის დუქანი იეოს თვარა, მეტი რა მეჭირვებოდა!.. ლებიას კი არ შავაკლამდი თავს, ამ შენს სახლში?.. (ბალდასარას) ჩოთქი არ გახლავს, ალა, და რით დავხვეტო?..

ბალდასარა. ტო, ახმახ!.. დახვეტო განა გომურია?..

დათიკა. ჩვენში ასე ვუბნობთ, ალავ...

ბალდასარა. უბანი რომელია?.. ტოტხი ხომ არის, ვირო?.. მაგრამ შენ სულ ჭამაზედ გიჭირამს თვალები.

დათიკა. რა ვჭამე, შე კატო? ორი დღეა შენს სახლში წყალი არ გამთბარა!.. ცალიერი მწვანილი და დავოხებული ბური...

ბალდასარა. (წყრომით): ალარ გაჩუმდები ჭარამზადავ!.. მოშშორდი თავიდგანა!..

დათიკა. (მიდის ბუტ-ბუტით) მოგშორდე, შენ ნუ მომიკვდები, შენი მზერა გამაძღობს.

ბალდასარა. აქ მობრუნდი!.. (დათიკა მობრუნდება). ბიჭო, რას ბუტბუტებ, რას?..

დადიკა. არც რას... იმას ვუბნობ რომ ნასეკარ, წელიწადია შენ გემსახურები, ჯამაგირი მე არ კიცი და სხვა სიკეთე, ერთი შილენი მაინც ჩაგეცმია.

ბალდასარა. ახლა ბობროვი კარატნიკიც მომინდომე, მამი შენი გიგიტას ცხონებას... უური დამიგდე: აქ თუ მოვიდეს კინმე და თუ მომიკითხოს.. გესმის?... თუ შინ არ კი... ი... ოოოო შინ არ არის თქო და...

დათიკა. შინ თუ არ იქნები, ასთე ვეტუკი, აბა რა!..

ბალდასარ. ჯერ მათქმევინე და კირო!.. მოიცადეთქო და მალე მოვათქოო... გაიგონე, თუ არა?

დათიკა. (გადის ბუტბუტით) კაი შენს დღეს... უველა კოტორი, რომ გადიდგულდება, ესა მკლავს!... (გავა).

ბ ა მ ო ს ვ ლ ა 3

ბალდასარა და კეკელუა.

კეკელუა: (ბალდასარას) რა ამბავია?.. რასა ჯავრობ...

ბალდასარა. ეეი!.. გაგიჟდი?..

ბალდასარა. იმას უუკირდი იმ ახმახს, რომ აქამდისინ აქაურობა მიუღებელი და დაუგველი აქვს...

კეკელუა. სტუმრები კი არ დაგიოთხნენ!.. რა არი აქ დასალაგებელი?.. ერთი ნაჭალი, ერთიც დაგლეჯილი მუთაქა!.. გინდ ალაგე, გინდ დალაგე; მაგისთვის რა აუალ-მაუალსა ჭსწევ?..

ბალდასარა. (იქით) გიჟე?!..

კეკელუა. ჭაი თუ ისა სჯობდა, რომ სადილისთვის მოგეტანა რამე..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალდასარა. რა უნდა მომეტანა?.. ლობიო შინ არი, გააკეთე და სადილი იქნება.

კეკელუა. ყოველ დღე ლობიო?.. დღეს უქმე დღეა და ჩვენ ოჯახში კი კატაც ვერ გაძღება!..

ბალდასარა. ასლა ეაბლუ-ფლავები მომინდომე!..

კეკელუა. რატომ არ მოგინდომებ?!.. მეც თაღლითანთ ოჯახის შვილი არა ვარ?.. აზიზათ გაუზდიკარ და აქ კი ლამის სული ამამვრეს ლობიოსა და ქარქვეტის ჭამითა!..

ბალდასარა. (დაცინებურ სახით, იქით). ქარქვეტასაცა სწუნობს, ე!.. (წაიფრუსტუნებს). ფრრუსტ!.. ხა, ხა, ხა, ხა, ხა!..

კეკელუა. თეთრათ შენი სარეცხი!.. მითომ რა მასხარათ მიგდებ?.. (თავისთვის). უქმე დღეს, ასალ გახსნილებულზე, ოჯახში ხორცი არ იყოს.. თეკზი მაინც?..

ბალდასარა. (დაცინებით). ცოცხალ-ცოცხალი ჭანარი ხომ არა გნებავს?..

კეკელუა. ოსუნჯობ კიდეც?.. ჩემი მზითევი და იმოდენა ზინათი შენ შეჭამე და ესლა მასხარათაც მიგდებ?!..

ბალდასარა. ეურუმსალი იყოს ვისაც შენი ხელი ესლოს რამე!.. შენი მზითევი ოანსათა მქონდა, სოგდა ვქენ, ბედმა არ გასჭრა, ჩემი რა ბრალია?..

კეკელუა. მაშ ჩემი ბრალია?!.. ზინათი რომ დაგიბავე: ჩემი ჩაეთრასტები, ბეჭდები, რაგინდა რამეები და ალარ დაიხსენ... დამიკარგე...

ბალდასარა. ხათაე!.. ბიჭო, მაშ რა მექნა?.. იმოდენა დავიდარაბაში ვიყავ?.. ჭაი ეოშლინია, ჭაი მარკა, ჭაი ერისტავი, ჭაი ადვოკატი, ჭაი მადვოკატი!..

კეკელუა. მე რას დავდევ!.. თვალი იმათაც გამოხეოქიათ!.. იმათი მოგებული მე ჯერ არა მინახავს-რა და აქ, უქმე დღეს-კი, ერთი ნაჭერი ხორციც არა მაქვს...

ბალდასარა. ტო, გაიგონე, არ არი მეთქი უქმე!..

კეკელუა. უქმე როგორ არ არის, რომ წუხელი ზარები დარეკეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალდასარა. გიყვარ?.. ზარეებს სულ ისე ჰრეკავენ ყოველ დღე, სალოცავთ, მაშ ყოველთვის უქმე იქნება, რადა?..

კეკელუა. უქმეა მეოქი, გეუბნები!..

ბალდასარა. ბიჭო, ანა ორაცუტი ნახე!..

კეკელუა. თვალი შენც გამოგსდა და იმის დამწერსაც...

ბალდასარა. ვა, ვა! კე... კე... ლოლო!..

კეკელუა. (წუწუნით) ათსუს, რომ შენ სელში ჩაკვარდი!.. მშიერსა მკლამ!.. ლამის დამაჭლერქო!.. მესამთლიანთ თაქუას კი შლეიფიანი კაბები ეცოს და თაღლითაანთ კეკელუას-კი—მოსკოვის ჩითი!.. ამასაც ღმერთი აიღებს?!..

ბალდასარა. (გულ აჩვილებით წინ წაიწევს) კეკეკანი!..

კეკელა. (ყურს არ ათხოვებს). დაბალოვიანთ მაგთალა კი მუშტაითში დაჭენებდეს და კეკელუა კი შინ დავარდეს...

ბალდასარა. (ლმობიერათ) კეკელუაკანი!..

კეკელუა. (ყურს არ ათხოვებს) ზარქაშიანთ სამფერა კი კლუბში დაბანდებოდეს, მაროყინათი სკდებოდეს და კეკელუა კი ქარქვეტათი იკლავდეს თავს?!

ბალდასარა. (ხვეწნით) კეკეკანი, კეკეკანი!.. ქარქვეტაზე მაგას ნუ იტყვი, კეკელუკას ჭირიმე!..

კეკელუა. (ტირილით) კოტროვიანცის ცოლი კი ბოლსაბოზკებით დასტოდეს და კეკელუას კი ქოშებიც ენატრებოდეს?!.. მოკვდი, რადა, კეკე!.. (ტირის) მე აქ ველარ გავსძლებ!... დედანთსა წავალ... წიგნიც მიმიწერია...

ბალდასარა. (გულ აჩვილებული და თითქოს ტირილით და ხვეწნით) კეკეკანი!... კეკელუშკაკანი!... კეკელუცკაკანი!.. კეკელუკუკუნ!.. ქუ მალალ.. შენი კი ჭი... რი... მე!.. (ეხვევა).

კეკელუა. დამესსენ!.. რათ გინდიგარ ტიტკელა, მშიერი, მწყურვალი!..

ბალდასარა. კეკეკანი, კეკე!.. ვი ქუ ბალდასარინ!.. მაშ ჩემი თავი გაფუჭდეს, თუ ამ სამ დღეში ასეთი რამ არ გასარო, რომ თქვა თუ მეც ერთი ვინმე ვარო! დაბუმდი, შენი კუჭისა!..

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი და გამომცემელი ალ. ნებიერიძე.

Дозв. ценз. Тифл. 23 Февраля 1889 г. Типог. Гр. Чарквіани